სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

13 ივნისი 2025

N 306/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ქ. მცხეთაში მდ. ნარეკვავის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. მცხეთაში მდ. ნარეკვავის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. მცხეთაში, მდ. ნარეკვავის მარჯვენა ნაპირზე, კერძო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 72.07.02.1028; ფართობი: 15 571 $მ^2$). ვინაიდან, მდინარის წყალუხვობის დროს ხდება აღნიშნული ტერიტორიის დატბორვა, ნაპირდაცვითი სამუშაოების ფარგლებში გათვალისწინებულია მდ. ნარეკვავის მარჯვენა ნაპირზე გაბიონის კედლის მოწყობა. საპროექტო გაბიონის კედლის საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატებია: X-477147,519 Y-4636682,024; X-477164,045 Y-4636457,192. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია დაახლოებით 88 მეტრით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ნაპირსამაგრი სამუშაოების ფარგლებში მოეწყობა ქვაბული, სადაც განთავსდება 275 მეტრი სიგრძის გაბიონის კედელი, რომელიც წარმოდგენილი იქნება 4.0x2.0x0.3 მეტრიან ლეიბზე დაფუძნებული ორი იარუსით. აღნიშნული იარუსები აიგება 1.5x1.0x1.0 და 2.0x1.0x1.0 მეტრიანი გაბიონის ყუთებით. გაბიონის კედლის განთავსების შემდგომ, ქვაბულიდან ამოღებული მასალით მოეწყობა უკუყრილი. ნაპირდაცვითი სამუშაოების ფარგლებში ასევე მოეწყობა ნაყარი დამბა, რომლის გარე ფერდი მოპირკეთდება 4.0x2.0x0.3 მეტრიანი გაბიონის ლეიბით.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე სამშენებლო ბანაკის და სხვა მსხვილი დროებითი ინფრასტრუქტურის განთავსება დაგეგმილი არ არის. ნაპირსამაგრი სამუშაოებისთვის საჭირო მასალა (ბადეები და შემავსებელი ბალასტი) სამშენებლო მოედანზე შევა მზა სახით. ნაპირდაცვით სამუშაოებში გაგრძელდება დაახლოებით 4 თვის განმავლობაში და შესრულდება ექსკავატორის, ბულდოზერის და ორი ავტოთვითმცლელის საშუალებით.

სკრინინგის განცხადებაში მოცემულია მდ. ნარეკვავის ჰიდროლოგიური მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია. მდ. ნარეკვავის სიგრძეა 41 კმ, ხოლო წყალშემკრები აუზის ფართობი – 277 $კმ^2$. მდ. ნარეკვავის 1%-იანი უზრუნველყოფის ხარჯი შეადგენს 323 $მ^3$/წმ-ს. კალაპოტის ზოგადი წარეცხვის საშუალო სიღრმე 2.83 მეტრის, ხოლო კალაპოტის ზოგადი წარეცხვის მაქსიმალური სიღრმე 4.5 მეტრის ტოლია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების და ხმაურის სტაციონარული წყაროების გამოყენება არ იგეგმება. შესაბამისად, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების და ხმაურის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება ნაპირდაცვით

სამუშაოებში ჩართული ტექნიკა. ამასთან, უმნიშვნელო ამტვერება მოსალოდნელია გრუნტის ექსკავაციისა და მართვის პროცესში, რასაც ექნება დროებითი ხასიათი და არსებით ზემოქმედებას ვერ მოახდენს გარემოს ფონურ მდგომარეობაზე. ნაპირსამაგრი სამუშაოების მასშტაბის და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, აღნიშნული სამუშაოები არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ნაპირსამაგრი სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, მდ. ნარეკვავისა და გრუნტის დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, როგორიცაა: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, სამშენებლო მოედანზე დაწესდება კონტროლი, ხოლო ნაპირდაცვითი სამუშაოები განხორციელდება მდინარის წყალმცირობის პერიოდში.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებისას მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო და მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც შეგროვება სეპარირებულად, შესაბამის კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა მოხდება ადგილობრივ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. ნაპირდაცვითი სამუშაოების დასრულების შემდგომ, საპროექტო ტერიტორია მოწესრიგდება და აღდგება სანიტარული მდგომარეობა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ანთროპოგენური დატვირთვის და მცენარეული საფარის სიმწირის გამო, საპროექტო ტერიტორიაზე ფიქსირდება მხოლოდ ადამიანის სამეურნეო საქმიანობას ადვილად შეგუებადი ცხოველთა სახეობები. ნაპირსამაგრი სამუშაოების ფარგლებში ხე-მცენარეების მოჭრა, ასევე სამუშაოების მდინარის კალაპოტში განხორციელება გათვალისწინებული არ არის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნაპირდაცვითი სამუშაოები არ იქნება დაკავშირებული ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის, მასშტაბისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. მდ. ნარეკვავის ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება წარმოადგენს გარემოსდაცვით ღონისძიებას, რომლის ძირითადი ამოცანაა ტერიტორიის დატბორვისაგან დაცვა.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.8 და 9.13 ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ქ. მცხეთაში მდ. ნარეკვავის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

2. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/306-21-4-202506131733